14/10/2019

საეკლესიო კალენდარი:2019 წლის 14 ოქტომბერი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 2019 წლის 14 ოქტომბერს მცხეთობა-სვეტიცხოვლობის დღესასწაულს აღნიშნავს და ასევე იხსენიებს: მეფე მირიანსა და დედოფლ ნანას, სიდონიას და აბიათარ მღვდელს, მელქისედეკ I, მოციქულ ანანიას, ღირს რომანოზ ტკბილადმგალობელს, მოწამე დომნინე თესალონიკელს, ღირსმოწამე მიქაელს, ზობიელ იღუმენსა და 36 ღირსმოწამეს,

მცხეთობა, სვეტიცხოვლობა

მცხეთობა დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სადიდებლად „კვართისა საუფლოჲსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“ და ის ყოველ წელს საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში მცხეთაში იმართება. ამ დღეს ასევე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიდონიასა და აბიათარის ხსენებაც.

ლეგენდის მიხედვით, იესო ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. ელიოზმა სიწმინდე მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და

კვართითურთ დაკრძალა. საფლავზე ამოსულა მშვენიერი ხე, რომელიც ოთხი საუკუნის შემდეგ მეფე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხუროებს, მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი, მ.შ. ერთი, სახილველად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც.

ტრადიციულად ამ დღეს იმართებოდა დიდი წირვა და მრავალი მლოცველი მოდიოდა საკლავითა და უსისხლო შესაწირავით. წირვის შემდეგ მლოცველები ტაძრის გალავანში შლიდნენ სუფრას და იმართებოდა პურობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ მცხეთობის დღესასწაული აღდგა და ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა. ტრადიციულად ამ დღეს წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს სვეტიცხოველში, ხოლო შემდეგ იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში, საესტრადო და ხალხური შემოქმედების კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები

მეფე მირიანი და დედოფალი ნანა; წმიდა სიდონია და აბიათარ მღვდელი

წმიდა გიორგი კაბადუკიელის წამების ჟამს კაბადუკიაში ცხოვრობდა მართლმორწმუნე ცოლ-ქმარი ზაბულონ და სოსანა მათ ჰყავდათ ასული ნინო. სოსანა იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის და იყო. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა თავი უფლისათვის შეეწირათ, თავიანთი ქონება ღარიბებს დაურიგეს, მცირეწლოვანი ასული ძიძას ჩააბარეს აღსაზრდელად, თვითონ კი განდეგილ ცხოვრებას შეუდგნენ.

ნინოს აღმზრდელი მოუთხრობდა უფლის ვნებების, ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომის, აგრეთვე მისი ტილოსა და სუდარის შესახებ. როცა მან შეიტყო, რომ უფლის უკერველი კვართი დაფლული იყო წარმართთა ქალაქში, გადაწყვიტა ქართველები ქრისტეს სჯულზე მოექცია. იგი დაუმეგობრდა მეფის ასულ რიფსიმეს და მის გამზრდელს, გაიანეს, რომლებიც ორმოცდაათ ქალწულთან ერთად ილტვოდნენ უსჯულო მეფის, დიოკლეტაინესგან და მათთან ერთად ჩავიდა სომხეთში. სომხეთის მეფის, თრდატის მიერ წმიდა ქალწულმოწამეთა მოწყვეტის შემდეგ, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ნინო ჯავახეთის მთებით ქართლში გადავიდა.

ამ დროს ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა: თაყვანს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმიდა კონსტანტინე დიდის მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

ქართლში მოსული ნინო უბრნისში ჩავიდა და ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღის

შემდეგ მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის დღესასწაულზე. დღესასწაულს მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. წმიდა ნინომ ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიამის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა. ნინო მცხეთაში დასახლდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავის ახსოვდა. ამ ძიებაში ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელმოძღვარი აბიათარი, ელიოზის შთამომავალი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი დედა. წმიდა ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისღების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ.

წმიდა ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრით მადლით კურნავდა დავრდომილებს.

ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას.გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე ქრისტეს სჯულით დაინტერესდა

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა უჩინო მტერი, გულში კვლავ ჩაუდო კერპთა და ცეცხლის სიყვარული და მახვილით მოწყვეტა ქრისტიანეთა. მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა. მირიანმა განიპყრნა ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“.

მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

სანამ კონსტანტინეპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა

წმიდა ნინომ მეფეს უთხრა, რომ მცხეთაში დიდი სიწმიდე უფლის კვართი ინახებოდა. მეფემ აბიათარ მღვდელი დაიბარა, კვართის ამბავი გამოჰკითხა და სიხარულით აღივსო.

მცხეთაში ერთი კლდის თავზე მშვენიერი, სურნელოვანი, სასწაულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლით ისარნაკრავი მომაკვდავი ნადირი იკურნებოდა.

მირიან მეფის ძემ, რევიმ, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით და ერის თანხლებით,

მოჭრა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესიის სამხრეთით აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვლია, არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გააკეთეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღემართა არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე.

როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ მეფემ აკურთხა ძე თვისი ბაქარი, ანდერძად დაუტოვა წმიდა სამების ერთგულება, ბრძოლა კერპების წინააღმდეგ და ღვთივ მიისვენა.

საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

ეს დღესასწაული ღვთისმშობლის ერთი სასწაულებრივი გამოცხადების მოსაგონებლად დაწესდა: X საუკუნის შუა წლებში, კვირადღეს, 1 ოქტომბერს, ანდრია სალოსი ღამისთევის ლოცვებს ესწრებოდა კონსტანტინოპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც ინახებოდა ყოვლადწმიდა ქალწულის სამოსელი, თავსაბური და სარტყლის ნაწილი. ღამის ოთხ საათზე მან თვალები ზეცად აღაპყრო და იხილა ზეციური შუქით გაცისკროვნებული ღვთისმშობელი ანგელოზებისა და წმიდათა დასის თანხლებით. მას კრძალვით მოაბრძანებდნენ იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი. ყოვლადწმიდამ მუხლი მოიყარა და დიდხანს ცრემლებით ავედრებდა უფალს საქრისტიანოს; შემდეგ ტრაპეზთან მივიდა და აქ განაგრძო ლოცვა, ბოლოს კი თავსაბური მოიხსნა და ტაძარში შემოკრებილ მლოცველებს გადააფარა. უბიწო ქალწული ღვთაებრივი დიდებით ბრწყინავდა, თავსაბური კი მის ხელში მზეზე უბრწყინვალესად ელვარებდა. ათრთოლებულმა ანდრიამ გვერდით მდგომ მოწაფეს, ეპიფანეს ჰკითხა: „ხედავ, ძმაო, მთელი სამყაროსთვის მლოცველ დედუფალსა და უფალს?“ „ვხედავ, წმიდაო მამაო, და ვძრწი“, – უპასუხა ეპიფანემ. ნეტარი ანდრია და ეპიფანე დიდხანს შესცქეროდნენ საკვირველ სახილველს.

ერთი ვარაუდით, ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული რუსეთში დაწესდა, სხვები კი ფიქრობენ, რომ იგი ბერძნული წარმოშობისაა. საბერძნეთის ეკლესიაში XII საუკუნის I ნახევარში უნდა დაეწყოთ მისი აღნიშვნა. სავარაუდოა, რომ აქედან შევიდა იგი რუსეთშიც. შემდგომ ბერძნებს ეს დღესასწაული დავიწყებისთვის მიუციათ, დაკარგულა საღვთისმსახურო წიგნებიც, რომლებშიც ის იხსენიებოდა. დღეისთვის შემორჩენილი უძველესი წყაროები, სადაც ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულია ნახსენები, რუსულია და XIII საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

მელქისედექ პირველი

მელქისედექ კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ ეკლესიას მესაჭეობდა დაახ. 1010-1030 წლებში, მეფეების ბაგრატ III-ის, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის დროს. წმიდანმა კათოლიკოსის ტახტი დაიკავა კათოლიკოს სვიმეონის გარდაცვალების შემდეგ.

მელქისედექი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი მამათმთავარი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით მოიხსენიება.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით წმიდა მელქისედექი იყო „დიდებულთა კაცთა შვილი“ აღზრდილი მეფე ბაგრატ II-ის მიერ. წმიდა მელქისედექმა მისი კათოლიკოსობის პერიოდში ააშენა და განამშვენიერა სვეტიცხოვლის ტაძარი,

მელქისედექი რამოდენიმეჯერ ეწვია ბიზანტიას და როგორც ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, ამ ვიზიტების დროს მოხდა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისათვის კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულის დამტკიცება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედექ I გარდაიცვალა 1030 წელს. დასაფლავებულია სვეტიცხოვლის მარჯვენა მხარეს, წმიდა ილია თეზბიტელის ეკვდერის შესასვლელთან.

ისტორიამ შემოგვინახა წმიდა მელქისედექის მიერ შედგენილი ანდერძი – „აღწერილი მცხეთის საყდრისადმი“, სადაც ჩამოთვლილია იმ ნივთების, ეკლესია-მონასტრებისა და სოფლების სრული სია, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა შეწირა მცხეთის სვეტიცხოველს. სწორედ ამ ანდერძშია მოხსენიებული პირველად საქართველოს მამამთავარი კათოლიკოს-პატრიარქად და ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მელქისედექ I-მა სვეტიცხოველში გაიჩინა დასაკრძალი ადგილი.

წმიდა მოციქული ანანია

წმიდა მოციქული ანანია, ქალაქ დამასკოს ეპისკოპოსი, მაცხოვრის სამოცდაათ უახლოეს მოწაფეთაგანი იყო. ღვთის ბრძანებით, სწორედ მან მონათლა ქრისტიანთა მდევნელი სავლე, მომავალი პავლე მოციქული (საქმე, 9, 10-19). განსაცდელების მიუხედავად, ანანია გაბედულად და აშკარად ქადაგებდა ქრისტიანობას იუდეველებსა და წარმართებს შორის. დამასკოდან იგი ელეფთეროპოლში გადავიდა სახარების სწავლებით და იქ მრავალი სნეული განკურნა. ქალაქის თავი, ლუკიანე შეეცადა, წმიდანი კერპების-თვის მსხვერპლის შეწირვაზე დაეყოლიებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ ჯალათებმა მისი ბრძანებით სასტიკად აწამეს ქრისტეს მხნე აღმსარებელი. ქალაქგარეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. ანანიამ თავისი მკვლელებისათვის ლოცვაში შეჰვედრა სული უფალს (I ს.). მოგვიანებით მისი წმიდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს.

ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელი

ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელი დაიბადა სირიის ქალაქ ემესაში, V საუკუნეში. ემესიდან ნეტარი კონსტანტინოპოლში გადავიდა და წმიდა სოფიას ტაძარში მნათედ დაიწყო მსახურება. წმიდანი უწიგნური იყო, მედავითნეობა და გალობა არ შეეძლო, მაგრამ საოცარი კეთილმსახურებით ცხოვრობდა. ამის გამო მან პატრიარქ ექვთიმეს ყურადღება და კეთილგანწყობა დაიმსახურა, რამაც სხვა ღვთისმსახურები შურით აღავსო. ერთხელ, ქრისტეშობის წინა საღამოს, როცა ტაძარში იმპერატორიც ბრძანდებოდა, მგალობლებმა რომანოზი ძალით აიყვანეს ამბიონზე და გალობა აიძულეს, შემდეგ კი სიცილი დააყარეს. რა თქმა უნდა, წმიდა რომანოზის გალობა არ იყო სასიამოვნო მოსასმენი, რამაც ყველაზე მეტად თვით წმიდანს ატკინა გული. ღვთისმსახურების ბოლოს წმიდა რომანოზი ქვითინით დაემხო ღვთის-მშობლის ხატის წინაშე და მხურვალედ ილოცა. იმავე ღამით ნეტარს ძილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა, გრაგნილი (ბერძნულად – კონდაკიონი) გაუწოდა და უბრძანა, შეეჭამა. ასე მიემადლა მას ზეგარდამო გულისხმისყოფა და საგალობლების შექმნისა და შესრულების ნიჭი.
დაუცხრომელი ღვაწლისთვის უფლის რჩეულს დიაკვნად დაასხეს ხელი და გალობის მასწავლებლად დაადგინეს. მან შექმნა ათასამდე საგალობელი, რომელთაგან ბევრი დღესაც ჩართულია ღვთისმსახურებაში. ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელი 556 წელს გარდაიცვალა.

ღირსი დომნინე თესალონიკელი

ღირსი დომნინე თესალონიკში ჩასულმა იმპერატორმა მაქსიმიანემ (284-305; 307-310) აწამა ქრისტეს აღსარებისათვის. წმიდანი ქალაქგარეთ გაიყვანეს და ფეხები მუხლებამდე მოაჭრეს. სულთმობრძავმა მარტვილმა შვიდი დღე იცოცხლა, შემდეგ კი

ტანჯვით განწმენდილი სული უფალს შეჰვედრა.

ღირსმოწამე მიქაელი, ზობიელი იღუმენი და მასთან 36 ღირსმოწამე

წმიდა იღუმენი მიქაელი და მასთან 36 ღირსმოწამე სომხეთის სებასტიის მახლობლად, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ზობიის სავანეში მოსაგრეობდნენ. VIII საუკუნის ბოლოს მონასტერს სარკინოზები დაესხნენ თავს და ქრისტეს შევედრებული წმიდანები მახვილებით განგმირეს.

მასალა მომზადებულია ღია წყაროებზე დაყრდნობით.

- sputnik-georgia.com